სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში კვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, გამოაცხადა **„საქპატენტი“ ანაზღაურებადი სტაჟირების** კონკურსი.
 კონკურსი ითვალისწინებს 10 კანდიდატის შერჩევას საქპატენტის გამოგონების და ახალი ჯიშების დეპარტამენტში სტაჟირების გასავლელად.

აუცილებელ მოთხოვნათა შორისაა, რომ კანდიდატი იყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მედიცინის, საინჟინრო ან მომიჯნავე მიმართულების ფაკულტეტის არანაკლებ ბაკალავრიატის საფეხურის III კურსის სტუდენტი. სასურველია დარგობრივი ინგლისური ენის ცოდნა.
სტაჟიორებს, რომლებიც სტაჟირების პერიოდში გამოავლენენ საქპატენტში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების უნარს, ექნებათ საქპატენტში დასაქმების პერსპექტივა.

კონკურსის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია, განთავსებულია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე
https://www.hr.gov.ge/JobProvider/UserOrgVaks/Details/76725?active=1

სტაჟირებით დაინტერესებულმა პირებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია ვებგვერდზე www.hr.gov.ge , შეავსონ სააპლიკაციო ფორმა და გააკეთონ განაცხადი სტაჟირებაზე.
განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2023 წლის 8 თებერვალი.